გელა სვირავა, გიორგი სვირავა

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2022.14.08

საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების მშპ დინამიკა 2013-2019 წლებში რეგიონულ ჭრილში და კრიზისის გამომწვევი მიზეზები

აბსტრაქტი: *გაანალიზებულია საქართველოს მშპ, მშპ რეგიონების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მშპ, რუსეთის ფედერაციის იმ რეგიონების მშპ, რომელიც ესაზღვრება საქართველოს, მათი ერთ სულ მოსახლეზე მშპ, განხილულია თურქეთის რესპუბლიკის მშპ და ერთ სულ მოსახლეზე მშპ დინამიკაში. გაკეთებულია დასკვნები ცალკეულ ქვეყნებში კრიზისის განმაპირობებელ ფაქტორებზე. აღნიშნულია, რომ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებს შორის, როგორც ტერიტორიის, მოსახლეობის ასევე მშპ მიხედვით ლიდერობს რუსეთის ფედერაცია. თავისებურება საკვლევ პერიოდში მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის ანექსიის და ოკუპაციის შემდეგ დაწესებულმა სანქციებმა და 2014-2017 წლებში ნავთობის დაბალმა ფასებმა მეტად შეამცირა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები. რაც აისახა 2016 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებაში ერთი ტრილიონი დოლარით ანუ 44.3 პროცენტით.*

ნავთობზე დაბალი ფასები გახდა მშპ შემცირების მიზეზი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკაში მშპ შემცირება ძირითადად განპირობებული იყო ამ რესპუბლიკის მაღალი დამოკიდებულებით რუსეთის ფედერაციის ეკონომიკაზე. რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკას და საქართველოს აქ ძირითადი პრობლემები გარე ფაქტორებთან ერთად იყო მთავრობების არაკომპეტენტური გადაწყვეტილებები, რომლებსაც ადგილი ქონდა საკვლევ პერიოდში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს რეგიონებში მართალია ადგილი ქონდა მშპ-ის შემცირებას, მაგრამ ეს არ იყო ისეთი სიღრმისეული, როგორც რუსეთის რესპუბლიკებში რომლებიც ესაზღვრება საქართველოს.

ამოსავალი სიტყვები: *მთლიანი შიდა პროდუქტი, ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშპ, რეგიონის მშპ, მთლიანი რეგიონული პროდუქტი, მშპ PPP მიხედვით, მშპ დარგობრივი სტრუქტურა, ქვეყნების მშპ შედარებითი ანალიზი.*

Gela Svirava, Giorgi Svirava

GDP Dynamics of Georgia and its Neighboring Countries in 2013-2019 in the Regional Context and Causes of Crisis

***Abstract**: The article analyzes Georgia's national GDP, the GDP of Georgia's regions, the GDP of the Russian Federation, the GDP of the Russian Federation regions bordering Georgia, the GDP of the Republic of Turkey and the respective GDP per capita to address the causes of financial crises in the region. While the Russian Federation is a leader in the region in terms of territory, population, and GDP, the article notes the fact that the sanctions imposed by the Russian Federation after the annexation and occupation of the territory of Ukraine in 2014 and low oil prices in 2014-2017 reduced the opportunities for economic development of the Russian Federation. This was reflected in the 2016 decline in gross domestic product by one trillion dollars, or 44.3 percent.*

Lower oil prices have become the cause of a decline in GDP in the Republic of Azerbaijan. As for the decline in GDP in the Republic of Armenia, it was mainly due to the high dependence of this republic on the economy of the Russian Federation. As for the Republic of Turkey and Georgia, the main problems, along with external factors, were the incompetent decisions of governments that took place during the research period. It should also be noted that in the regions of Georgia there was a decrease in GDP, but it was not as sharp as in the Russian republics that border Georgia.

***Keywords:** Gross Domestic Product, GDP of the Autonomous Republic of Abkhazia, Regional GDP, Gross Regional Product, GDP by PPP, GDP Sectorial Structure, Comparative Analysis of Countries' GDP.*

თანამედროვე პირობებში, როდესაც მსოფლიოში მთლიანად დაძაბულობამ მიაღწია უკიდურესად ზღვარს, განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში, მიგვაჩნია, რომ მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის კვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ ის მოვლენები, რომლებმაც შეიძლება განაპირობოს ახალი პრობლემების წარმოქმნა, ან უკვე არსებული პრობლემების გამწვავება.

საქართველო ესაზღვრება ოთხ ქვეყანას, რომელთაც ერთმანეთისაგან განსხვავებული მასშტაბი, ბუნებრივი რესურსების მარაგი, მოსახლეობის რაოდენობა და მშპ გააჩნია. ამ ოთხი ქვეყნიდან ორი ქვეყანა არის მდიდარი ნავთობითა და გაზის რესურსების და სხვა სახის რესურსებით მაშინ, როცა საქმე ეხება რუსეთის ფედერაციას, ხოლო ორ დანარჩენ მეზობელს, მართალია, მდიდარი არ არიან რესურსებით, თუმცა გაცილებით მეტი ბუნებრივი რესურსები გააჩნიათ, ვიდრე საქართველოს.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი. ქვეყნის მშპ 2013 წელს იყო 17.1 მლრდ. დოლარი, 2014 წელს გაიზარდა 0,5 მლრდ. დოლარით, ხოლო მომდევნო 2015

წელს მთავრობის მიერ გადადგმულმა მთელმა რიგმა ნაბიჯებმა, გარე ფაქტორებთან ერთად გამოიწვია ქვეყნის მშპ შემცირება 12,8 პროცენტით. რაც შეეხება დარჩენილ პერიოდს, ქვეყნის მშპ დინამიკა, როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს, ხასიათდება ზრდის ტენდენციით, თუმცა, 2019 წელს მშპ მოცულობა 2014 წელთან შედარებით მაინც ნაკლებია.

დიაგრამა1.



ერთ სულ მოსახლეზე მშპ. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2013 წელს იყო 3 889.6, ხოლო 2014 წელს გაიზარდა 4 069.4 დოლარამდე. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის მშპ ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით და 2019 წელს შეადგინა 4 985.8 დოლარი, ხოლო პროცენტულად 2013 წელთან შედარებით 2019 წელს ზრდამ შეადგინა 27.9 პროცენტი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2013 წელს შეადგენდა 11 740.1 დოლარს. 2014 წელს შეადგენდა 12 254.6, 2016 წელს 12 963.7, ხოლო 2019 წელს იყო 15 014.3 დოლარი.

მშპ ქვეყნის რეგიონების მიხედვით. მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილება მხარეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში. რაჭა-ლეჩხუმის მხარის მშპ არ არის ასახული დიაგრამაზე, ვინაიდან მის მნიშვნელობა არ აღემატება 1

პროცენტს. ამავე პრინციპით არ აისახა ოკუპირებული სამაჩაბლოს რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტი.

დიაგრამიდან ჩანს, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარი იქმნება დედაქალაქში, რომელიც შეადგენდა 2013 წელს 13.1 მლრდ ლარს, ხოლო 2018 წლისთვის გაიზარდა 53.4 პროცენტით და შეადგინა 20.1 მლრდი ლარი. ქვეყნის მეორე მსხვილი რეგიონი მშპ-ის მიხედვით არის აჭარის **არ,** რომელზეც მოდიოდა 2013 წელს 2.2 მლრდ. ლარი, რომელიც 2018 წლისთვის გაიზარდა 59.1 პროცენტით და შეადგინა 3.5 მლრდ. ლარი. 2013 წელს სიდიდით მესამე რეგიონი იყო იმერეთი, რომლის მშპ შეადგენდა 2.1 მლრდ. ლარს, ხოლო 2018 წლისთვის გაიზარდა 71.4 პროცენტით და შეადგინა 3.6 მლრდ. ლარი. მშპ სიდიდის მიხედვით შემდგომი არის ქვემო ქართლის რეგიონი, რომლის ოდენობამ 2013 წელს შეადგინა 1.8 მლრდ. ლარი, რომელიც 2018 წლისთვის გაიზარდა 66.7 პროცენტით და შეადგინა 3.0 მლრდ. ლარი. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მშპ 2013 წელს შეადგენდა 1.7 მლრდ. ლარს, ხოლო 2018 წლისათვის გაიზარდა 23.5 პროცენტი და შეადგინა 2.1 მლრდ. ლარი. კახეთის მშპ 2013 წელს შეადგენდა 1.3 მლრ. ლარს, ხოლო 2018 წელს გაიზარდა 53.8 პროცენტით და შეადგინა 2.0 მლრდ. ლარი. 2013 წლის მაჩვენებლებით ქვეყნის მასშტაბით სიდიდის მიხედვით შემდეგი რეგიონია ოკუპირებული აფხაზეთის **არ** 1.3 მლრდ. ლარი, რომელიც 2015 წლისთვის შემცირდა 1.0 მლრდ ლარამდე, ხოლო 2017 წელს გაიზარდა 1.3 მლრდ. ლარამდე, თუმცა 2018 წლისთვის 1.2 მლრდ. ლარამდე შემცირდა. შემდეგი რეგიონი არის შიდა ქართლი, რომლის მშპ-ი იყო 1.3 მლრდ. ლარი, რაც 2018 წლისთვის გაიზარდა 15.3 პროცენტით და შეადგინა 1.5 მლრდ. ლარი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მშპ 2013 წელს იყო 0.9 მლრდ. ლარი, რაც 2018 წლისთვის გაიზარდა 33.3 პროცენტით და შეადგინა 1.2 მლრდ. ლარი. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მშპ შეადგენდა 2013 წელს 0.5 მლრდ. ლარს, ხოლო 2018 წელს გაიზარდა 80.0 პროცენტით და შეადგიან 0.9 მლრდ. ლარი. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის მშპ 2013 წელს იყო 126.4 მლნ. ლარი, ხოლო 2018 წელს 214.0 მლნ ლარი.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით. მშპ ერთ სულზე განაწილება ქვეყნის რეგიონების მიხედვით 2013 წელს მერყეობდა 7.2 -2.3 ათასი დოლარის ფარგლებში. აქ შეიძლება გამოვყოთ 3 ჯგუფი: პირველ ჯგუფში შედის დედაქალაქი თბილისი 7 207 დოლარით. მეორე ჯგუფში შედის ოთხი რეგიონი: აჭარის **არ**, მცხეთა მთიანეთის რეგიონი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი და აფხაზეთის **არ**. ამ ჯგუფის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შესაბამისად შეადგენდა: 3 981; 3 348; 3 336 და 3 211 დოლარი, ხოლო მესამე ჯგუში შედის რეგიონები, რომელთა მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 3 ათას დოლარზე ნაკლებს. 2013 წლისთვის ასეთი რეგიონების რაოდენობა შეადგენდა 7 რეგიონს: სამეგრელო ზემო სვანეთი 2 942 დოლარით; შიდა ქართლი - 2 920; გურია - 2 758; ქვემო ქართლი -2 574; კახეთი - 2 478; იმერეთი - 2 318; და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 2 268 დოლარით.

2018 წლისთვის თითქმის ყველა რეგიონში ადგილი ჰქონდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ შემცირებას, თუმცა, არის გამონაკლისები ისეთი რეგიონები, სადაც მოხდა ზრდა საკვლევ პერიოდში. ჯგუფების მიხედვით ასეთი მდგომარეობაა: პირველ ჯგუფში, სადაც ერთი სუბიექტი შედის - დედაქალაქი - მშპ ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა 5.2%-ით და შეადგინა - 6 832 დოლარი; მეორე ჯგუფში, სადაც შედიოდა ოთხი რეგიონი ერთი რეგიონში, კერძოდ ოკუპირებულ აფხაზეთის არ-ის მშპ ერთ სულზე მოსახლეზე შემცირდა 35.9%-ით და შეადგინა 2 058 დოლარი, რამაც გამოიწვია ამ ჯგუფის შემცირება ოთხიდან სამამდე. ამ ჯგუფში შემავალ ერთ რეგიონში ადგილი ჰქონდა ზრდის ტენდენციას, კერძოდ, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - გაიზარდა 16.9%-ით, ხოლო ორ დანარჩენ რეგიონში ადგილი ჰქონდა შემცირებას, კერძოდ, აჭარის არ-ში შემცირდა უმნიშვნელოდ და შეადგინა 3 978 დოლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაჩვენებელი შემცირდა 8.9% და შეადგინა 3 037 დოლარი. რაც შეეხება მესამე ჯგუფს, აქ სუბიექტების რაოდენობა ერთით გაიზარდა ოკუპირებული აფხაზეთის არ ხარჯზე და შეადგინა რვა რეგიონი. ამ ჯგუფის რეგიონები შეიძლება პირობითად დავყოთ რეგიონებად, სადაც გაიზარდა

ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ი და რეგიონებად, სადაც ადგილი ჰქონდა აღნიშნული მაჩვენებლის შემცირებას. აქედან გამომდინარე, გვაქვს ოთხ-ოთხი რეგიონი. ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა შემდეგი რეგიონები: ქვემო ქართლის რეგიონში მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 7.7% და შეადგინა 2 774.2 დოლარი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის მხარე 23.2%-ით და შეადგინა 2 795.3 დოლარი; კახეთის რეგიონში გაიზარდა 2%-ით და შეადგინა 2 529.5 დოლარი; იმერეთის რეგიონში ზრდამ შეადგინა 20.4%-ით და შეადგინა 2 791.6 დოლარი. ამ ჯგუფის მეორე ნაწილში, სადაც შემცირდა 2018 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ შედის ოკუპირებული აფხაზეთის არ; გურიის რეგიონში შემცირებამ შეადგინა 15.7%-ით და შეადგენს 2 325.5 დოლარი; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შემცირდა 13.6%-ით და შეადგინა 2 542.9 დოლარი; შიდა ქართლი რეგიონში შემცირდა 21.1%-ით და შეადგინა 2 303.1 დოლარი.

ზემოთ აღნიშნულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყნის მოსახლეობას არ აქვს შედარებით თანაბარი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, რაც განპირობებულია მთავრობის მიერ განხორციელებული არაკომპეტენტური ეკონომიკური პოლიტიკით. როგორც ვხედავთ, დედაქალაქის ერთ სულ მოსახლეზე მშპ ორჯერ და უფრო მეტად აღემატება რეგიონების უმრავლესობის აღნიშნულ მაჩვენებლებს.

დიაგრამა 2.



რუსეთის ფედერაციის მთლიანი შიდა პროდუქტი. რფ მშპ 2013 წელს იყო 2 292.5 მლრდ. დოლარი, 2014 წელს შემცირდა 2 059,2 მლრდ. დოლარამდე, ხოლო მომდევნო 2015 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ომის გამო დაწესებულმა სანქციებმა განაპირობა მშპ-ის შემცირება 33.8%-ით და შეადგინა 1363.5 მლრდ. დოლარი. წინა წელთან შედარებით, ასევე შემცირდა 2016 წელს 1 276.8 მლრდ. დოლარამდე. ხოლო მომდევნო სამი წელი ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით და 2019 წლისთვის მიაღწია 1 699.9 მლრდ დოლარს.

დიაგრამა 3.



ერთ სულ მოსახლეზე მშპ. რფ ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2013 წელს იყო 11 731.4, ხოლო 2014 წელს შემცირდა 11 608.8 დოლარამდე. 2016 წლისთვის ასევე მცირდებოდა და შეადგინა 11 356 დოლარი. 2017 წელს გაიზარდა 11 550.5 დოლარამდე, ხოლო 2018 წელს იყო 11 844.4 დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2013 წელს შეადგენდა 26 413.2 დოლარს. 2014 წელს შემცირდა და შეადგენდა 26 137.1 დოლარი, 2016 წელს შემცირდა 25 568.9 დოლარამდე, ხოლო 2018 წელს იყო 26667.7 დოლარი.

ინგუშეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2013 წელს 1.4 მლრდ. დოლარს, რომელიც 2014 წლისთვის შემცირდა 7% და შეადგინა 1.3 მლრდ. დოლარი. შემცირების ტენდენციას ადგილი ჰქონდა შემდეგ წლებში: 2015 წლისთვის შემცირდა წინა წელთან შედარებით 38.4% და შეადგინა 0.8 მლრდ. დოლარი. 2018 წლისთვის მშპ ოდნავ გაიზარდა და შეადგინა 0.88 მლრდ. დოლარი.

ინგუშეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლისთვის ინგუშეთის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 3 204.4 დოლარს. საკვლევი მაჩვენებლები 2017 წლამდე ხასიათდებოდა შემცირების ტენდენციით, კერძოდ 2014 წლისთვის წინა წელთან შედარებით შემცირდა 8.5% და შეადგინა 2 933.1 დოლარი. 2015 წელს შემცირდა 40.5 % და შეადგინა 1744.2. 2016 წელს კიდევ უფრო

შემცირდა და შეადგინა 1638.7 დოლარი. 2016 წელთან შედარებით 2018 წელს მაჩვენებელი გაიზარდა და შეადგინა 1788.6 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ინგუშეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2013 წელს 27.3%, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო 15.1%.

დიაგრამა 4.



ინგუშეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით - 24%-ით - წარმოდგენილია სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სოციალური უზრუნველყოფა; სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობას უკავია - 13%. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი - 8%. მშენებლობას - 12 %. განათლება - 12%. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა 11%, დამამუშავებელი მრეწველობა - 5%. სასარგებლო წიაღირსეულის მოპოვება - 2%. ინფორმაციული და საკომუნიკაციო საქმიანობა - 3%. სხვა დარგები - 11%.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2013 წელს 3.8 მლრდ. დოლარს, რომელიც 2015 წლისთვის

შემცირდა 34.2% და შეადგინა 2.5 მლრდ. დოლარი. თუმცა, შემდგომ წლებში ადგილი ჰქონდა ზრდის ტენდენციას და 2018 წლისთვის შეადგინა 3.0 მლრდ. დოლარი.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლისთვის ჩეჩნეთის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 2 872.3 დოლარს. შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა შემდგომი სამი წელი და 2016 წლისთვის 2013 წელთან შედარებით შემცირებამ შეადგინა 37.2%, ანუ 1 804.4 დოლარი. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მცირეოდენ ზრდას ქონდა ადგილი და 2018 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მა შეადგინა 2 120.5 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ჩეჩნეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2013 წელს 24.4%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო 17.9%.

დიაგრამა 5.



ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 16-16%-ით წარმოდგენილია საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი და სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სოციალური უზრუნველყოფა. სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა უკავია - 11%. მშენებლობას - 15 %. განათლება - 12%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა - 9%, 4-4 % - ტრანსპორტი და დასაწყობება და

სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა. სხვა დარგები - 13%.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2013 წელს 3.7 მლრდ. დოლარს, რომელიც 2015 წლისთვის შემცირდა 45.9% და შეადგინა 2.0 მლრდ. დოლარი. 2016 გაგრძელდა შემცირების ტენდეცია და მიაღწია 1.8 მლრდ. დოლარს. თუმცა 2018 წლისთვის ისევ ოდნავ გაიზარდა და შეადგიან 2.1 მლრდ. დოლარი.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლისთვის რესპუბლიკის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 5 274.8 დოლარს. შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა შემდგომი სამი წელი და 2016 წლისთვის 2013 წელთან შედარებით შემცირებამ შეადგინა 49.5%, ანუ 2.663.3 დოლარი. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მცირეოდენ ზრდას ჰქონდა ადგილი და 2018 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მა შეადგინა 2949.4 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ჩრდილოეთ ოსეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2013 წელს 44.9%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო 24.9%.

დიაგრამა 6.



ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 19-18%-ით წარმოდგენილია საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი და სახელმწიფო მმართველობა და

თავდაცვა; სოციალური უზრუნველყოფა. სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა უკავია - 12%. მშენებლობას - 9 %. განათლება - 8%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა - 9%. დამამუშავებელი მრეწველობა - 7%. 5% - ტრანსპორტი და დასაწყობება. ინფორმაციული და საკომუნიკაციო საქმიანობა - 3%. სხვა დარგები -10%.

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2013 წელს 3.5 მლრდ. დოლარს, რომელიც 2015 წლისთვის შემცირდა 45.7% და შეადგინა 1.9 მლრდ. დოლარი. 2016 უმნიშვნელოდ გაიზარდა და მიაღწია 2.0 მლრდ. დოლარს. 2017 წელსაც ადგილი ჰქონდა ზრდის ტენდენციას 20%-ით და მიაღწია 2.4 მლრდ. დოლარს. თუმცა, 2018 წლისთვის ისევ შემცირდა და შეადგინა 2.3 მლრდ. დოლარი.

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლისთვის რესპუბლიკის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 4 050.4 დოლარს. შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა შემდგომი ორი წელი და 2015 წლისთვის 2013 წელთან შედარებით შემცირებამ შეადგინა 43.7%, ანუ 2 281.6 დოლარი. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მცირეოდენ ზრდას ჰქონდა ადგილი და 2017 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მა შეადგინა 2 742.9 დოლარი. თუმცა, 2018 წლისთვის ისევ შემცირდა 2 672.8 დოლარამდე.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ყაბარდო-ბალყარეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2013 წელს 34.5%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო 22.5%.

დიაგრამა 7.



ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 19-16%-ით წარმოდგენილია სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი. სახელმწიფო მმართველობა. თავდაცვა; სოციალური უზრუნველყოფა - 11%. მშენებლობას - 11%. განათლება - 7%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა - 7%. დამამუშავებელი მრეწველობა - 11%. 3% - ტრანსპორტი და დასაწყობება. ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება - 4%. სხვა დარგები - 11%.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2013 წელს 2.1 მლრდ. დოლარს, რომელიც 2015 წლისთვის შემცირდა 47.6% და შეადგინა 1.1 მლრდ. დოლარი. 2016 წელსაც გაგრძელდა შემცირების ტენდეცია და მიაღწია 1.0 მლრდ. დოლარს. თუმცა 2018 წლისთვის მცირედით გაიზარდა და შეადგინა 1.2 მლრდ. დოლარი.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლისთვის რესპუბლიკის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 4 400.4 დოლარს. შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა შემდგომი სამი წელი და 2016 წლისთვის 2013 წელთან შედარებით შემცირებამ შეადგინა 48.0%, ანუ 2 286.4 დოლარი. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მცირეოდენ ზრდას ჰქონდა ადგილი და 2018 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მა შეადგინა 2 627.8 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ყარაჩაი-ჩერქეზეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2013 წელს 37.5%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო 22.2%.

დიაგრამა 8.



ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურა. რესპუბლიკის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 19-15%-ით წარმოდგენილია სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა და სახელმწიფო მმართველობა; თავდაცვა; სოციალური უზრუნველყოფა. შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 12%. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი - 9%. მშენებლობას - 7%. განათლება - 7%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა - 7%. ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება - 8%. სასარგებლო წიაღირსეულის მოპოვება - 2%. სხვა დარგები - 14%.

დაღესტნის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2013 წელს 14.4 მლრდ. დოლარს, რომელიც 2015 წლისთვის შემცირდა 55.4% და შეადგინა 9.3 მლრდ. დოლარი. 2016 გაგრძელდა შემცირების

ტენდეცია და მიაღწია 8.9 მლრდ. დოლარს. თუმცა, 2018 წლისთვის მცირედით გაიზარდა და შეადგიან 9.3 მლრდ. დოლარი.

დაღესტნის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლისთვის რესპუბლიკის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 4 894.5 დოლარს. შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა შემდგომი სამი წელი და 2016 წლისთვის 2013 წელთან შედარებით შემცირებამ შეადგინა 39.1%, ანუ 2 978 დოლარი. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მცირეოდენ ზრდას ქონდა ადგილი და 2018 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მა შეადგინა 3 204.2 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში დაღესტნის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2013 წელს 41.7%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო 27.1%.

დიაგრამა 9.



დაღესტნის რესპუბლიკის მშპ დარგობრივი სტრუქტურა. დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 23-18%-ით წარმოდგენილია საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი და სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა. შემდეგ მოდის მშენებლობა - 16%. ტრანსპორტი და დასაწყობება - 6%. დამამუშავებელი მრეწველობა - 5%. სახელმწიფო მმართველობა. თავდაცვა; სოციალური უზრუნველყოფა = 7%. განათლება - 6%.

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა - 6%. სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა - 5%. სხვა დარგები - 8%.

ადიღის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2013 წელს 2.2 მლრდ. დოლარს, რომელიც 2015 წლისთვის შემცირდა 36.4% -ით და შეადგინა 1.4 მლრდ. დოლარი. 2016 წელსაც გაგრძელდა შემცირების ტენდეცია და მიაღწია 1.3 მლრდ. დოლარს. თუმცა 2018 წლისთვის მცირედით გაიზარდა და შეადგიან 1.7 მლრდ. დოლარი.

ადიღის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლისთვის რესპუბლიკის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 4 986.3 დოლარს. შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა შემდგომი სამი წელი და 2016 წლისთვის 2013 წელთან შედარებით შემცირებამ შეადგინა 40.1%, ანუ 2 989.1 დოლარი. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მცირეოდენ ზრდას ჰქონდა ადგილი და 2018 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მა შეადგინა 3 794.4 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ადიღის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2013 წელს 42.5%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო 32.0%.

დიაგრამა 10.

ადიღის რესპუბლიკის მშპ დარგობრივი სტრუქტურა 2018 წ. %



ადიღის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურა. დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 18%-ით წარმოდგენილია დამამუშავებელი

მრეწველობა - 17%. შემდეგ მოდის 14%-14%-ით საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი და სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა. მშენებლობას - 7%. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები - 9%. სახელმწიფო მმართველობა. თავდაცვა; სოციალური უზრუნველყოფა - 8%. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა 6%.განათლება - 5%. ტრანსპორტი და დასაწყობება - 5%. სხვა დარგები = 15%.

კრასნოდარის მხარის მშპ. მხარის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2013 წელს 52.1 მლრდ. დოლარს, რომელიც 2016 წლისთვის შემცირდა 40.3% და შეადგინა 31.1 მლრდ. დოლარი. თუმცა, 2018 წლისთვის ადგილი ჰქონდა ზრდას და შეადგინა 37.2 მლრდ. დოლარი.

კრასნოდარის მხარის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წლისთვის რესპუბლიკის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 9 834 დოლარს. შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა შემდგომი სამი წელი და 2016 წლისთვის 2013 წელთან შედარებით შემცირებამ შეადგინა 42.5%, ანუ 5 649.3 დოლარი. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მცირეოდენ ზრდას ჰქონდა ადგილი და 2018 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მა შეადგინა 6 653.5 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში კრასნოდარის მხარის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2013 წელს 83.8%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო 56.1%.

დიაგრამა 11.

კრასნოდარის მხარის მშპ დარგობრივი სტრუქტურა 2018 წ. %



კრასნოდარის მხარის მშპ დარგობრივ სტრუქტურა. დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 17-16%-ით წარმოდგენილია საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი და ტრანსპორტი და დასაწყობება. დამამუშავებელი მრეწველობა - 12%. სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა უკავია - 11%. მშენებლობას - 7%. სახელმწიფო მმართველობა. თავდაცვა; სოციალური უზრუნველყოფა - 4%. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა - 5%. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები - 6%. სასტუმროებია და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა - 3%. სხვა დარგები - 18%.

თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტი. ქვეყნის მშპ 2013 წელს იყო 950.6 მლრდ. დოლარი, 2014 წელს შემცირდა 1.7%-ით. 2015 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 7.9%. 2016 წელს კი გაიზარდა 863.7 მლრდ. დოლარამდე. თუმცა, მომდევნო წლების განმავლობაში აშკარად გამოიკვეთა შემცირების ტენდენცია და 2019 წლისათვის შეადგინა 754. 4 მლრდ. დოლარი ანუ 2013 წელთან შედარებით 2019 წლისათვის შემცირდა 20.6 %.

დიაგრამა 12.



ერთ სულ მოსახლეზე მშპ. თურქეთში ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2013 წელს იყო 12 842.2, ხოლო 2014 წელს გაიზარდა 13 277.8 დოლარამდე. 2015 წელს გაიზარდა 4.3 %. 2017 წელს 2015 წელთან შედარებით მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 7.3 %. 2018 წელს ზრდა წინა წელთან შედარებით შეადგინა 1.3 %.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2013 წელს შეადგენდა 22 117 დოლარს. 2014 წელს შეადგენდა 24 935, 2015 წელს 26 015 დოლარი, 2016 წელს იყო 26 409.2 დოლარი. 2017 წელს იყო 27 934.2 დოლარი. 2018 წელს 28 298.9 დოლარი.

აზერბაიჯანის მთლიანი შიდა პროდუქტი. ქვეყნის მშპ 2013 წელს იყო 74.1 მლრდ. დოლარი, 2014 წელს გაიზარდა 75.2 მლრდ. დოლარით, მომდევნო 2015 წელს წინა წელთან შედარებით მშპ შემცირდა 29.5 %. 2016 წელს 2014 წელთან შედარებით შემცირდა 49.6 %. 2017 წელს ადგილი ქონდა მშპ ზრდას 40,9 მლრდ. დოლარამდე. ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა შემდგომ წლებში და 2019 წლისათვის შეადგინა 48.05 მლრდ. დოლარი.

დიაგრამა 13.

აზერბაიჯანის მშპ 2013-2019 წ.წ. მლრდ. დოლარი



ერთ სულ მოსახლეზე მშპ. ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2013 წელს იყო 5 981.5, ხოლო 2014 წელს გაიზარდა 6 072.5 დოლარამდე. 2015 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 6 063.7 დოლარამდე. შემცირების ტენდეცია დამახასიათებელი იყო შემდგომი ორი წლის განმავლობაში და 2017 წლისთვის შეადგინა 5 764.7 დოლარი, ხოლო 2018 წელს გაიზარდა 5 800.7 დოლარამდე.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2013 წელს შეადგენდა 14 652.7 დოლარს. 2014 წელს შეადგენდა 14 876.8 დოლარს. 2017 წელს 2014 წელთან შედარებით შემცირდა 5.1 % და შეადგინა 14 121.4 დოლარი. ხოლო 2018 წელს გაიზარდა და შეადგინა 14 209.6 დოლარი.

სომხეთის მთლიანი შიდა პროდუქტი. ქვეყნის მშპ 2013 წელს იყო 11.1 მლრდ. დოლარი, 2014 წელს გაიზარდა 0,5 მლრდ. დოლარით, ხოლო მომდევნო 2015 წელს მშპ შემცირდა 1.1 მილიარდი დოლარით ანუ 9.5%. მაჩვენებელი უცვლელი დარჩა 2016 წლისთვის. ერთი მილიარდი დოლარით გაიზარდა მომდევნო წელს და შეადგინა 11.5 მლრდ. დოლარი. 2018 წელსაც მშპ გაიზარდა 7.8 %. 2019 წელსაც გაიზარდა 10.2 %-ით და შეადგინა 13.67 მლრდ. დოლარი.

დიაგრამა 14.

სომხეთის მშპ 2013-2019 წ.წ. მლრდ. დოლარი



ერთ სულ მოსახლეზე მშპ. ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2013 წელს იყო 3 705.4, 2014 წელს გაიზარდა 3 819.2 დოლარამდე. მომდევნო წელსაც გაიზარდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე და შეადგინა 3 923.7 დოლარი. თუმცა, 2016 წელს ადგილი ჰქონდა შემცირებას 3 917,4 დოლარამდე. შემდგომ წლებში კი ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით და 2018 წელს შეადგინა 4 406.7 დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2013 წელს შეადგენდა 10 691.3 დოლარს. 2014 წელს შეადგენდა 11 019.8 დოლარს. 2015 წელს გაიზარდა 11 321.4 დოლარამდე. 2016 წელს შემცირდა 11 303.1 დოლარამდე. თუმცა, შემდგომ წლებში გაიზარდა და 2018 წლისთვის შეადგინა 12 715 დოლარი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებს შორის, როგორც ტერიტორიის, მოსახლეობის ასევე მშპ მიხედვით ლიდერობს რუსეთის ფედერაცია. თავისებურება საკვლევ პერიოდში მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის ანექსიის და ოკუპაციის შემდეგ დაწესებულმა სანქციებმა და 2014-2017 წლებში ნავთობის დაბალმა ფასებმა მეტად შეამცირა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები. რაც აისახა 2016 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებაში ერთი ტრილიონი დოლარით ანუ 44.3 პროცენტით.

ნავთობზე დაბალი ფასები გახდა მშპ შემცირების მიზეზი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკაში მშპ შემცირება ძირითადად

განპირობებული იყო ამ რესპუბლიკის მაღალი დამოკიდებულებით რუსეთის ფედერაციის ეკონომიკაზე. რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკას და საქართველოს, აქ ძირითადი პრობლემები გარე ფაქტორებთან ერთად იყო მთავრობების არაკომპეტენტური გადაწყვეტილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საკვლევ პერიოდში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს რეგიონებში, მართალია, ადგილი ჰქონდა მშპ-ის შემცირებას, მაგრამ ეს არ იყო ისეთი სიღრმისეული, როგორც რუსეთის რესპუბლიკებში, რომლებიც ესაზღვრება საქართველოს. აქვე უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ რუსეთის ეროვნული უმცირესობების რესპუბლიკებში, რომლებიც ესაზღვრება საქართველოს, მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ორჯერ, ზოგ შემთხვევაში სამჯერ ნაკლებია იგივე საქართველოს მოსაზღვრე დომინანტი ეროვნებით დასახლებულ რეგიონში.

გამოყენებული წყაროები:

1. https://www.azstat.org/portal/?lang=en 12.12. 2022
2. https://www.kursvaliut.ru/%D1%81%D1%80%D0%B5%D0%B4%D0%BD%D0%B8%D0%B9-%D0%BE%D0%B1%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B9-%D0%BA%D1%83%D1%80%D1%81-%D0%B7%D0%B0-%D0%BC%D0%B5%D1%81%D1%8F%D1%86 12.12. 2022
3. https://rosstat.gov.ru/statistics/accounts 12.12. 2022
4. https://tradingeconomics.com/russia/gdp 12.12. 2022
5. https://tradingeconomics.com/turkey/gdp 12.12. 2022
6. https://tradingeconomics.com/azerbaijan/gdp 12.12. 2022
7. https://tradingeconomics.com/georgia/gdp 12.12. 2022
8. https://www.geostat.ge/ka 12.12. 2022
9. http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2016-god.php 12.12. 2022